დაფქვისა და რეაგენტების მოსამზადებელი კორპუსების ფუნდამენტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის პროგრამა

(მადნეულის გადამამუშავებელი ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი)

მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების – СНиП 1.02.07-87 „საინჟინრო საძიებო სამუშაოები მშენებლობისათვის“, СНиП 2.02.01-83* „Основания зданий и сооружений“ და СНиП 2.01.07-85* „Нагрузки и воздействия“ მოთხოვნათა გათვალისწინებით, აგრეთვე ობიექტის ფუნქციური დანიშნულების, კონსტრუქციული სქემისა და ობიექტის ფუნდამენტზე დატვირთვების ანალიზის საფუძველზე, მიღებულია შემდეგი ტექნიკური გადაწყვეტილება.

საპროექტო ნაგებობები მიეკუთვნება პასუხისმგებლობის I კლასს, ვინაიდან წარმოადგენს სამრეწველო დანიშნულების ობიექტებს რომელიც ხასიათდება მნიშვნელოვანი დატვირთვებით, მძიმე ტექნოლოგიური დანადგარების არსებობითა და ექსპლუატაციის პროცესში გრუნტზე შესაძლო დინამიკური ზემოქმედებებით. აღნიშნული ფაქტორები განაპირობებს გაზრდილ მოთხოვნებს ნაგებობის საფუძვლის საიმედოობისა და დეფორმაციული მაჩვენებლების მიმართ.

სამშენებლო მოდენის ფარგლებში არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობები სირთულის მიხედვით მიღებულია II კატეგორიად, არსებული გეოლოგიური გარემოსა და სამშენებლო ტერიტორიის რელიეფის თავისებურებების გათვალისწინებით.

СНиП 1.02.07-87-ის ცხრილი 36-ის შესაბამისად, პასუხისმგებლობის I კლასისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების II კატეგორიის შემთხვევაში, საინჟინრო გეოლოგიურ ჭაბურღილებს შორის დაშორება განისაზღვრება 30–40მ დიაპაზონში. საფუძვლის საკმარისი შესწავლადობისა და გრუნტის შესაძლო ჰეტეროგენულობის გამოვლენის უზრუნველყოფის მიზნით მიღებულია 30X30მ საბურღი ბადის გამოყენება.

Таблица 36

Категория сложности инженерно-геологических условий	Расстояние между горными выработками, м, при классе ответственности зданий и сооружений	
	I	II и III
I	75–50	100–75
II	40–30	50–40
III	25–20	30–25

Примечание. Максимальные расстояния между выработками следует принимать для зданий и сооружений мало чувствительных к неравномерным осадкам, минимальные — для чувствительных.

აღნიშნული პირობებით დაფქვის კორპუსისათვის (საპროექტო ნაგებობის პარამეტრები: 126×30; 21X72მ) დაგეგმილია 30 × 30მ რეგულარული ბადის გამოყენება, რაც შეადგენს 14 საინჟინრო-გეოლოგიურ ჭაბურღილს.

რეაგენტების (კირის რძის მოსამზადებელი კორპუსი) კორპუსისათვის (85×19მ) ჭაბურღილების რაოდენობა განისაზღვრება იგივე ნორმატიული პრინციპით, 30 მ ბადის ბიჯით და რაც შეადგენს 10 საინჟინრო-გეოლოგიურ ჭაბურღილს.

არსებული სიხშირე უზრუნველყოფს გრუნტის მასივის სათანადო შესწავლას საძირკვლის პროექტირებისათვის საჭირო სანდო საწყისი მონაცემების მიღებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საინჟინრო-გეოლოგიური ჭაბურღილები განკუთვნილია მხოლოდ ნაგებობის დაფუძვნების პირობების შესასწავლად, ხოლო ნაგებობის შიგნით განსათავსებელი დიდი დინამიკური დატვირთვის მქონე დანადგარების საძირკვლებისათვის საჭირო იქნება გრუნტის დამატებითი კვლევა და ცალკე ბურღვითი სამუშაოების დაგეგმვა, რომელიც განხორციელდება დანადგარების დეტალური განლაგების დაზუსტების შემდეგ.

შეადგინა:

გეოტექნიკური სამსახურის უფროსი ქეთი ბენაშვილი